ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2020 წლის 29 ივლისის სხდომის

ოქმი # 5

სხდომას ესწრებოდა 34 წევრიდან - 19.
სხდომა ჩატარდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და "ZOOM" პლატფორმის მეშვეობით.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში
   მომხს: თ. დოლბაია
3. "გენდერის კვლევის" სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელთა შეცვლის შესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე
4. სამაგისტრო პროგრამა "ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე
5. "კულტურისა და მედიის სოციოლოგიის" სადოქტორო პროგრამის IV სემესტრის სტუდენტ ანუკი ცაავას სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
6. "მასკომუნიკაციის" სადოქტორო პროგრამის IV სემესტრის სტუდენტ თამთა ჩხაიძის სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
7. "კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამის IV სემესტრის სტუდენტ გერმანე გვარამიას სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია

8. "მასკომუნიკაციის" სადოქტორო პროგრამის IV სემესტრის სტუდენტ ნათია ბრეგვაძის სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

9. "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის VI სემესტრის სტუდენტ გვანცა სალუქვაძის სადისერტაციო თემის სათაურის დაზუსტების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

10. "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის VI სემესტრის სტუდენტ გვანცა სალუქვაძისთვის ხელმძღვანელის დამატების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

11. "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნატა გარაყანიძის სადოქტორო დისერტაციის დაცვის თარიღის დამტკიცება

მომხს: თ. მატარაძე

13. პროფესორის ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება

მომხს: თ. დოლბაია

14. 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შეჯამება და ახალი სასწავლო წლისთვის მზადების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს:1. ფაკულტეტის კურიკულუმში 2020-2021 სასწავლო წლისთვის განსახორციელებელი ცვლილებები საბჭოს გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, მ. მაცაბერიძემ, გ. გოგსაძემ, მ. შამილიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, მ. წერეთელმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის კურიკულუმში 2020-2021 სასწავლო წლისთვის განსახორციელებელი ცვლილებები (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წერილი, რომელიც ეხებოდა ფაკულტეტის საბჭოში თვითმმართველობის კვოტით შემოსულ სტუდენტთა შემადგენლობაში ცვლილებებს, ფაკულტეტის საბჭოს გააცნო თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: რ.ხითარიძემ, გ. გოგსაძემ, მ. შამილიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში და სტუდენტთა კვოტით შევიდნენ ირაკლი სანოძე და თათია ოდიშელიძე, ნაცვლად გიორგი გოგოლიძისა და ნინო გოლიაძისა.

მოისმინეს: 3. "გენდერის კვლევის" სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელთა შეცვლის თაობაზე ისაუბრა რ. ჯორბენაძემ და წარადგინა მედეა ბადაშვილის კანდიდატურა.
აზრი გამოთქვეს: თ. მატარაძემ, თ. დოლბაიამ მადლობა გადაუხადა თ. მატარაძეს, რომელიც ფაკულტეტის ადმინისტრაციის თხოვნით ერთი წელი უძღვებოდა სამაგისტრო პროგრამას. ახლა ფაკულტეტის პროფესურას შეუერთდა კადრი, რომელიც გენდერის სპეციალისტია და იმედია კარგად უხელმძღვანელებს პროგრამებს
დაადგინეს: . "გენდერის კვლევის" სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელად დაინიშნოს ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორი მედეა ბადაშვილი

მოისმინეს: 4. სამაგისტრო პროგრამა "ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ ისაუბრა რ. ჯორბენაძემ
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ა.კუხიანიძემ და სხვ.
დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამა "ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი დ. მაცაბერიძე

მოისმინეს: 5. "კულტურისა და მედიის სოციოლოგიის" სადოქტორო პროგრამის IV სემესტრის სტუდენტ ანუკი ცაავას განცხადება სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ დამსწრეთ გააცნო თ. დოლბაიამ. არსებული თემის სათაურია: „ამერიკული სიტუაციური კომედიის ჟანრის სერიალების გავლენის კვლევა ქართველი მაყურებლის კულტურულ და სოციალურ კაპიტალზე".
აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, მ. წერეთელმა და სხვ.
დაადგინეს: დამტკიცდეს ა. ცაავას ახალი სადისერტაციო თემა შემდეგი სათაურით: „თანამედროვე ქართველი მწერალი ქალების სიმბოლური კაპიტალის ასახვა მათ შემოქმედებაში"

მოისმინეს: 6. "მასკომუნიკაციის" სადოქტორო პროგრამის IV სემესტრის სტუდენტ თამთა ჩხაიძის განცხადება სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ დამსწრეთ გააცნო თ. დოლბაიამ. არსებული თემის სათაურია - „ქართული მასმედიის შედარებითი ანალიზი საბჭოთა რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლის პირობებში", ახალი თემის - „ყალბი ახალი ამბების ფენომენი ქართული ონლაინ მედიის შედრებითი ანალიზისას დემოკრატიზაციის პროცესში"
აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. ჭალაგანიძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს თამთა ჩხაიძის ახალი სადისერტაციო თემა შემდეგი სათაურით: „ყალბი ახალი ამბების ფენომენი ქართული ონლაინ მედიის შედრეგითი ანალიზისას დემოკრატიზაციის პროცესში“

მოისმინეს: 7. "კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამის IV სემესტრის სტუდენტ გერმანე გვარამიას განცხადება სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ. არსებული თემის სათაურია: „ ტერორიზმის გამომწვევი კონფლიქტების ანალიზი, მათი პრევენციის მექანიზმები და საქართველო“
აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ვ. მელიქიძემ, ზ. აბაშიძემ და სხვ.
დაადგინეს: დამტკიცდეს გერმანე გვარამიას ახალი სადისერტაციო თემა შემდეგი სათაურით: „საგანმანათლებლო სისტემის როლი ტერორიზმის პრევენციაში: საქართველოს მაგალითი“

მოისმინეს: 8. "მასკომუნიკაციის" სადოქტორო პროგრამის IV სემესტრის სტუდენტ ნათია ბრეგვაძის სადისერტაციო თემის შეცვლის შესახებ
აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, გ. გოგსაძემ, ხ. მაისაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.
დაადგინეს: ნათია ბრეგვაძის სადისერტაციო თემა, სათაურით - „კულტურული იმპერიალიზმი და ქართული მედია“, შეიცვალოს თემით - „პოპკულტურა, როგორც კულტურული იმპერიალიზმის ფორმა - კრიტიკული ანალიზი, თანამედროვე ქართული ტელე და ონლაინ მედიის მაგალითზე“

მოისმინეს: 9. "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის VI სემესტრის სტუდენტ გვანცა სალუქვაძის განცხადება სადისერტაციო თემის სათაურის დაზუსტების შესახებ საბჭოს წევრებს გააცნო თ. დოლბაიამ. არსებული სათაურია: „ტურიზმისა და სხვა ეკონომიკური დარგების ურთიერთკავშირის გეოგრაფიული ასპექტები: საქართველოს მთიანი რეგიონების მაგალითი“
აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს გ. სალუქვაძის სადისერტაციო თემის სათაური შემდეგნაირად: „ტურიზმისა და სხვა ეკონომიკური დარგების ურთიერთკავშირის სივრცითი და სექტორული ასპექტები: საქართველოს მთიანი რეგიონების მაგალითი“

მოისმინეს: 10. "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის VI სემესტრის სტუდენტ გვანცა სალუქვაძის განცხადება მისთვის ხელმძღვანელის დამატების შესახებ, დამსწრეთ გააცნო თ. დოლბაიამ. განცხადებას თან ახლავს პროგრამისა და ორივე ხელმძღვანელის თანხმობა
აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, გ. გოგსაძემ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.
დაადგინეს: დოქტორანტ გ. სალუქვაძის მეორე ხელმძღვანელად დამტკიცდეს ნორმან ბაქჰაუსი, ციურიხის უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი.

მოისმინეს: 11. "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია გარაყანიძის სადოქტორო დისერტაციის დაცვის თარიღი დასამტკიცებლად წარმოადგინა თ. მატარაძემ
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, თ. დოლბაიამ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.
დაადგინეს: "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნატა გარაყანიძის სადოქტორო დისერტაციის დაცვის თარიღად დამტკიცდეს - 2020 წლის 31 ივლისი, 10.00 სთ. დაცვა ჩატარდება მე-6 კორპუსის #303 აუდიტორიაში ჯანმოს მოთხოვნების დაცვით.
სადისერტაციო თემის სათაურია - „ ენერგორესურსები და პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა"

მოისმინეს: 13. პროფესორის ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმების დაზუსტების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ნ. ბელქანიამ, რ. ჯორბენაძემ, თ. მატარაძემ და სხვ.
დაადგინეს: შევიდეს ცვლილება პროფესორის ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმებში. კერძოდ:
„დოქტორანტისთვის, 1 სალექციო/სასემინარო საათის მოსამზადებლად საჭირო დრო განისაზღვროს 2 სთ - ის ოდენობით, ხოლო 1 საკითხის/ტესტის გასწორების დრო - საშუალოდ 20 წთ - ით."

მოისმინეს: 14. ფაკულტეტის დეკანის ინფორმაცია 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ, რომელიც განხორციელდა დისტანციურად "LMS", "e-learning" და "ZOOM" პლატფორმების მეშვეობით.
ფაკულტეტი ერთ-ერთი საუკეთესო იყო საუნივერსიტეტო მასშტაბით, ვინც გადალახა სირთულეები და წარმატებით განახორციელა სასწავლო - სამეცნიერო აქტივობები. თუმცა ყოველივე ეს დიდი ძალისხმევის ხარჯზე მოხდა და დასახვეწი კიდევ ბევრია. გადამზადდა პროფესურის, მოწვეულ ლექტორთა და დამხმარე სპეციალისტთა დიდი ნაწილი, მათთვის და სტუდენტებისთვის მომზადდა ტუტორიალი სხვადასხვა თემებზე, რაც ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებზე. თუმცა ყველამ ვერ აუღო ალღო ტექნოლოგიურ სიახლეებს და მოწვეულ ლექტორთა გარკვეულ ნაწილს ფაკულტეტი ახალი სასწავლო წლიდან აღარ მოიწვევს.
ფაკულტეტმა უკვე დაიწყო მზადება ახალი სასწავლო წლისთვის, რომელიც სწავლების ჰიბრიდულ წესს აირჩევს და ჯანმოსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით:

1. სრულად გადავა ონლაინ სწავლების ფორმატზე სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები;

2. საბაკალავრო პროგრამები მხოლოდ ნაწილობრივ დარჩება სწავლების პირისპირ ფორმატში, საგნების სპეციფიკის, აუდიტორიების ტევადობისა და სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით;
3. სასწავლო პროგრამები იმუშავებენ დამტკიცებული სილაბუსების მიხედვით და შეფასების ჩვეულ ფორმას გამოიყენებენ, დასწრების, შუალედური გამოცდისა და სხვა კომპონენტების გათვალისწინებით;
4. გამოცდების ჩატარების ფორმატი გადაწყვეტილი არაა და საჭიროებს დამატებით მსჯელობებსა და დისკუსიებს

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, პროფესორი

ფაკულტეტის საბჭო 29/07/2020

1. თამარ დოლბაია
2. ხათუნა მაისაშვილი
3. რევაზ ჯორბენაძე
4. ზურაბ აბაშიძე
5. გიორგი გოგსაძე
6. ნინო პავლიაშვილი
7. მანანა შამილიშვილი
8. ვალერიან მელიქიძე
9. თეონა მატარაძე
10. სალომე დუნდუა
11. ზურაბ დავითაშვილი
12. მალხაზ მაცაბერიძე
13. მარი წერეთელი
14. ნოდარ ბელქანია
15. რატი ხითარიძე
16. ელენე ბებერაშვილი
17. ნინო დურგლიშვილი
18. შაკო ლაშხია
19. ალექსანდრე გაბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოუნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანს **თამარ დოლბაიას**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

რევაზ ჯორბენაძის

მიმართვა

ქალბატონო თამარ,

წარმოგიდგენთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე(29ივლისი, 2020 წელი) გასატან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს.

კერძოდ:

საბაკალავრო პროგრამები:

საფაკულტეტო საგნები:

1.ლექტორის დამატება:

- „საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი“ - დაემატა პროფესორი ზურაბ დავითაშვილი და მოწვეული ლექტორი კონსტანტინე შუბითიძე. არჩევითი, (30/15).

საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 34)

1. **ახალი კურსის დამატება:**
   - „სპორტული ჟურნალისტიკა“ არჩევითი - მოწვეული ლექტორი ნიკოლოზ ტაბატაძე, 5 კრედიტი, (15/15).
   - „მობილური ჟურნალისტიკა“ არჩევითი - ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე- 5 კრედიტი, (15/15).

2.**სილაბუსის განახლება:**

- „მსოფლიოს-ისტორიულ-გეოგრაფიული ტრანსფორმაცია“ - ასოცირებული პროფესორი ჯაბა ურუტაძე, 5 კრედიტი, (30/15).

საბაკალავრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 40)

1. **საგნის სახელწოდების ცვლილება, სილაბუსის განახლება და ლექტორის დამატება:**
- „ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია“ ნაცვლად „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გეოგრაფიისა“- დაემატა ახალი ლექტორი პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე.
2. **სილაბუსის განახლება:**
- „გეოეკონომიკის საფუძვლები“ - ლექტორი ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე.

საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ (დადგენილება #57, 2011, დანართი 41)

1. **შეფასების კომპონენტის ცვლილება, ლიტერატურის დამატება, შეფასების სისტემის შეცვლა, სილაბუსის ფორმის განახლება, სემესტრის შეცვლა, წინაპირობებში ცვლილება:**

- „აკადემიური წერა (საერთაშორისო ურთიერთობისათვის) - ლექტორი ასოცირებული პროფესორი სოფიო პეტრიაშვილი, სავალდებულო, (15/15).
- „პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკა“ - მოწვეული ლექტორი მამუკა კომახია, არჩევითი, (15/15).
- „ინგლისური ენა 3“ - ლექტორი ნინო ტაბეშაძე, სავალდებულო, (30/30).

2. **ახალი კურსის დამატება:**

- „ჩინეთის საგარეო პოლიტიკა“ - მოწვეული ლექტორი შალვა ჩიხლაძე, არჩევითი, (15/15).

3. **ლექტორის დამატება და ცვლილება:**

- „ნაციონალიზმის თეორია და ისტორია“, „სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკა“ - ნაცვლად პროფესორ ზურაბ დავითაშვილისა წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე. არცევითი, (15/15).
- „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ ასოცირებული პროფესორის სოფიო პეტრიაშვილის ნაცვლად ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში წაიკითხავს მოქვეული ლექტორი მარიამ პაპოშვილი.

საგანმანათლებლო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება #137/2015, დანართი 36).

1. **ლექტორის დამატება -**

- „სპეციალიზირებული ინგლისური ენა“ - დაემატა ლექტორი ნინო აბზიანიძე.

2. **სილაბუსის განახლება:**

- „ახლო აღმოსავლეთის შედარებითი პოლიტიკა“- საათობრივი ცვლილება: გახდა -15სთ ლექცია-30სთ სემინარი (იყო 2/1-ზე);ლექტორი ა.წურწუმია
- „გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა“-საათობრივი ცვლილება: გახდა -15სთ ლექცია-30სთ სემინარი (იყო 2/1-ზე); ლექტორი ა.წურწუმია
- „ლათინური ამერიკის შედარებითი პოლიტიკა“--საათობრივი ცვლილება: გახდა -15სთ ლექცია-30სთ სემინარი (იყო 2/1-ზე); ლექტორი ა.წურწუმია
- „საქართველოს გეოპოლიტიკა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“- საათობრივი ცვლილება: გახდა -15სთ ლექცია-30სთ სემინარი (იყო 2/1-ზე); ლექტორი ა.წურწუმია
- „მსოფლიო პოლიტიკა“ - საათობრივი ცვლილება: გახდა 15 სტ ლექცია - 30 სთ სემინარი (იყო 2/1-ზე); სავალდებულო, ლექტორი ა. წურწუმია.
- „პოლიტიკის კვლევის მეთოდები“ - სილაბუსის განახლება, ასისტენტ-პროფესორი თამარ ქარაია, არჩევითი, (15/30).

- „სოციალური დაცვის პოლიტიკა და ისტორია“ - სილაბუსის განახლება; ლექტორი ჯ.ეროტაძე, არჩევითი, (30/15).
-

3. ახალი საგნის დამატება:

- „იდენტობა და პოლიტიკა“ - ასოცირებული პროფროფესორი დავით მაცაბერიძე, არჩევითი (15/30).

4.სემესტრის ცვლილება:

- "საბჭოთაკავშირი: იდეოლოგიადაპოლიტიკა"-გაზაფხულისსემესტრის ნაცვლად გადადისშემოდგომო სემესტრში.

სამაგისტრო პროგრამები:

სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დფადგენილება # 137/2015 , დანართი 62)

1. **საგნის სახელწოდების ცვლილება:**
   - „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა“ ნაცვლად „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფიისა“ - ლექტორი პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე.
   - “თანამედროვეგლობალური სისტემები და პრობლემები“ ნაცვლად „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციისა“ - ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე, არჩევითი, 5 კრედიტი, (30/15).

სამაგისტრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“(დადგენილება №57/2011, დანართი 59)

1. **ლექტორის დამატება და საათობრივი ცვლილება:**
   - „სოციალური მუშაობის პრაქტიკა III“, 15/15 ნაცვლად 30-ისა; ასოცირებული პროფესორი ნინო შატბერაშვილი და მოწვეული პედაგოგი გურანდა თეთრაძე.

სამაგისტრო პროგრამაში ,,პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 63)

1. **სილაბუსში სათაურის და საათობრივი ჩაშლის ცვლილება/ განახლება:**
   - „კონფლიქტები კავკასიასა და ბალკანეთში“ -ლექტორი ჯაბა ურუტაძე, არჩევითი, (30/15).

საფაკულტეტო საგნები:

1.ლექტორის დამატება:

- „საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი“ - დაემატა პროფესორი ზურაბ დავითაშვილი და მოწვეული ლექტორი კონსტანტინე შუბითიძე. არცევითი, (30/15).

2. **სათაურის ცვლილება**
   - ,,პოლიტიკური ელიტების და ლიდერობის თეორიები'' ნაცვლად ,,პოლიტიკური ელიტების თეორიებისა'' - ლექტორი ავტანდილ ტუკვაძე, არჩევითი, (15/15).

სამაგისტრო პროგრამაში ,,მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები“ (დადგენილება2011 №57, დანართი 45)

1. **საგნის დამატება:**
   - მედიასამართალი: ყალბი ახალი ამბები და დეზინფორმაცია“ - მოწვეული ლექტორი ნინო შენგელია, 5 კრედიტი, არჩევითი (15/15).

სამაგისტრო პროგრამა „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ ინგლისური, (დადგენილება # 99/2019 , დანართი 295)

1. **ლექტორის დამატება:**

- „საინფორმაციო ომი და უსაფრთხოება“ (Information warfare and security) – დაემატაპროფესორიმარიამგერსამია.

სამაგისტრო პროგრამაში ,,გენდერის კვლევა“, ქართულენოვანი (დადგენილება2011 №57, დანართი 43)

1. **ლექტორის ცვლილება**
   - „სასწავლოპრაქტიკა“ - თეონა მატარაძის ნაცვლად წაიკითხავს მედეა ბადაშვილი.
   - „ქუირთეორიადაპრაქტიკა“ -ანარეხვიაშვილის და ლევანბერიანიძის ნაცვლად წაიკითხავს - ლია ჯალაღანია.
2. **სემესტრის ცვლილება:**
   - „აკადემიურიწერა“ გამოტანილ იქნას შემოდგომის სემესტრში საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამიდან.
   - არჩევითი კურსი „ქალთაისტორიისშექმნა: თეორიები, მეთოდოლოგიები, არქივები“ (ლექტორი თამთა მელაშილი) გაზაფხულის სემესტრიდან გადმოტანილ იქნას შემოდგომის სემესტრში
   - არჩევითი კურსი „გენდერიდაშრომა“ ლექტორი ლელაქირიაგაზაფხულის სემესტრიდან გადმოვიდეს შემოდგომის სემესტრში
   - „ქუირთეორიადაპრაქტიკა“გაზაფხულის სემესტრიდან გადმოტანილ იქნას შემოდგომის სემესტრში.
3. **კურსის დამატება/ჩანაცვლება**
   - სავალდებულო კურსი „კვლევითი სემინარი“ ლექტორი ნარგიზა არჯევანიძე ჩანაცვლდეს სავალდებულო კურსით „გენდერი, ოჯახი და რელიგია პოსტ-სოციალისტურ სივრცეში“(ლექტორი მედეა ბადაშვილი)15/15.
   - პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსი „გლობალური მიგრაცია, თანამედროვე ტენდენციები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები“ ლექტორი მედეა ბადაშვილი, არჩევითი, (15/15).

პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება:

1. **ასოცირებული პროფესორი მედეა ბადაშვილი ნაცვლად თეონა მატარაძისა**

სამაგისტრო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ (დადგენილება 57/2011, დანართი 256)

1. **სილაბუსის განახლება:**

- „საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია“ - ვახტანგ მაისაია
- „სამხედრო პოლიტოლოგია“ - ვახტანგ მაისაია
-

2. **კურსის დამატება:**

- „პოპულიზმი და მისი გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე“ - ასისტენტ-პროფესორი ლაშა ტუღუში, არჩევითი, (30/15).

სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“(დადგენილება №99-2019, დანართი 219)

1.სილაბუსის განახლება:

- „მდგრადი განვითარება და სოციალური პოლიტიკა“ - ლექტორი ასოცირებული პროფესორი ჯაბა ურუტაძე, არჩევითი, (30/15).

სადოქტორო პროგრამები

1. **სადოქტოროპროგრამებში სილაბუსის განახლება:**
   - „კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები“ - საფაკულტეტო, სავალდებულო, 5 კრედიტი.
   - „დარგობრივი სემინარი“ - საფაკულტეტო, სავალდებულო, 15 კრედიტი.
   - „პროფესორის ასისტენტობა“ - საფაკულტეტო, სავალდებულო, 5 კრედიტი.

2. **სადოქტორო პროგრამის დამტკიცება:**
   - „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ დამტკიცება.

ახალი სადოქტორო დარგობრივი არჩევითი კურსის დამატება:

- „პერფომანსის სოციოლოგია“ - ლექტორი ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე, არჩევითი, 5 კრედიტი, (15/15).

3. **სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება:**

გენდერისკვლევა

პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება:

- ასოცირებული პროფესორი მედეა ბადაშილი ნაცვლად თამარ საბედაშვილისა.

პატივისცემით,

რევაზ ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი